
ინდიკატორების ჰარმონიზაცია

გაეროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ
კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელების
მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის

ანგარიში მომზადებულია პროექტის “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში

პროექტი - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ - ინიცირებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. პროექტს ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის გზით. გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნული მიზნების მიღწევას, ისე საერთაშორისო (რიოს სამი კონვენცია) ვალდებულებების შესრულებას.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია პროექტის „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზაცია გარემოს შესახებ ცოდნისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის საქართველოში“, რომელიც ხორციელდება UNDP-ის მხარდაჭერით. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საუკეთესო პრაქტიკისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას რიოს კონვენციების (კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ და კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ) მოთხოვნების შესრულებისათვის. ამისათვის, პროექტი მხარს დაუჭერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებას გარემოზე ზემოქმედებისა და ტენდეციების მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის.

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის კოორდინირებული სისტემის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს რიოს კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაციისა და მონაცემების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული მნიშვნელოვანია ანგარიშგებისათვის საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე, ამასთანავე, ხელს შეუწყობს უფრო მიზანმიმართული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, კანონმდებლობის დახვეწას, პრიორიტეტული ქმედებების იდენტიფიცირებას და დაგეგმვის გაუმჯობესებას.

ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის (CBD) განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის საჭირო მონაცემები და ინფორმაცია განისაზღვრა შემდეგი ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე: (ა) ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით (NBSAP) განსაზღვრული ინდიკატორები ეროვნული მიზნების მიღწევისათვის; (ბ) ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის (NBMS) ინდიკატორები; (გ) კონვენციის სტრატეგიული გეგმისა (2011-2020 წლების) და აიტის ბიომრავალფეროვნების მიზნების მიღწევის ინდიკატორები, რომლებიც მიღებული იქნა კონვენციის მხარეთა მე-13 შეხვედრაზე (კანკუნი, მექსიკა, დეკემბერი, 2016, გადაწყვეტილება XIII/28).

ბიომრავალფეროვნების ეროვნული მიზნების მიღწევისათვის NBSAP-ით განსაზღვრული ინდიკატორები გარკვეულწილად განსხვავდება NBMS-ის ფარგლებში შერჩეული ინდიკატორებისაგან, ასევე, იმ ინდიკატორებისაგან, რომლებიც კონვენციის ფარგლებში შემოთავაზებულია აიტის შესაბამისი მიზნის მიღწევის შეფასებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებული იქნა ინდიკატორების ჰარმონიზება, რაც მნიშვნელოვანია, როგორც კონვენციისადმი ანგარიშგებისათვის, ასევე, მონაცემების/ინფორმაციის გენერირებისა ანალიზისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია:

- CBD-ის მითითებები ეროვნულ დონეზე მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის ინდიკატორებისა და შესაბამისი მონაცემების/ინფორმაციის გამოყენებისათვის, ასევე, აიტის მიზნების მიღწევის ინდიკატორები, რომლებიც მიღებული იქნა მხარეთა მე-13 შეხვედრაზე (გადაწყვეტილება XIII/28);

- NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზნები და ინდიკატორები მათი მიღწევის შეფასებისათვის;

- NBMS-ის ფარგლებში შერჩეული ინდიკატორები და მათი წარმოების პროცესში მიღებული გამოცდილება;

დაცულ ტერიტორიებთან და ტყეებთან დაკავშირებით, ასევე, განხილული და გათვალისწინებული იქნა კავკასიის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ქსელის (WWF-Caucasus, <http://wwfcaucasus.net/>) ფარგლებში შერჩეული ინდიკატორები.

ზემოთ აღნიშნული ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია ინდიკატორების ჰარმონიზებული ჩამონათვალი, რომელიც ქვეყნის მიერ გამოყენებული იქნება CBD-ის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის.

2. CBD 2011-2020 სტრატეგიული გეგმისა და აიტის ბიომრავალფეროვნების მიზნების ინდიკატორები

2011-2020 წლებისათვის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმისა და აიტის ბიომრავალფეროვნების მიზნების ინდიკატორების საორიენტაციო ჩამონათვალი მიღებული იქნა ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა მე-11 შეხვედრაზე, 2012 წელს (გადაწყვეტილება XI/3).

2015 წლის სექტემბერში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებული იქნა XI/3 გადაწყვეტილებით მიღებული ინდიკატორები დამატებით ინდიკატორებთან ერთად, რომლებიც გამოყენებული იქნა GBO-4-ის მომზადების პროცესში, ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების პარტნიორობის (BIP - Biodiversity Indicators Partnership¹) მუშაობის შედეგად და იმ ინდიკატორების გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენებიან მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებული ინდიკატორების ჩამონათვალი განხილული იქნა კონვენციის სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიური საკითხებში სამრჩევლო ორგანოს მე-19 და მე-20 შეხვედრებზე (Sunsidiary Body on Scientific, Technical and Technological Advice, SBSTTA) და წარდგენილი იქნა დასამტკიცებლად კონვენციის მხარეთა მე-13 შეხვედრაზე 2016 წლის დეკემბერში. კონვენციის მხარეთა მე-13 შეხვედრაზე მიღებული იქნა ბიომრავალფეროვნების 2011-2020 წლების მიზნებისა და აიტის ბიომრავალფეროვნების მიზნების ინდიკატორები (გადაწყვეტილება XIII/28), რომლებიც მხარეების მიერ შესაძლოა ადაპტირებული და გამოყენებული იქნეს ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების

¹ <http://www.bipindicators.net/>

მიმღები პირების ინფორმირებისათვის, ანგარიშგებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტერგრირებისათვის სხვა პროცესებში.

მხარეთა მე-13 კონფერენციაზე, ასევე, მიღებული იქნა მე-6 ეროვნული ანგარიშების მომზადების სახელმძღვანელო (გადაწყვეტილება XIII/27). დოკუმენტის თანახმად რეკომენდირებულია, რომ კონვენციის მხარეებმა მე-6 ეროვნული ანგარიშები წარადგინონ 2018 წლის 31 დეკემბრამდე. მე-6 ეროვნული ანგარიშების რეკომენდირებული სტრუქტურა შედგება 6 თავისაგან:

1. ინფორმაცია ეროვნული მიზნების შესახებ;
2. მიზნების მიღწევისათვის განხორციელებული ღონისძიებები, მათი ეფექტურობის შეფასება, სამეცნიერო და ტექნიკური საჭიროებები;
3. თითოეული მიზნის მიღწევის პროგრესის შეფასება;
4. აიტის ბიომრავალფეროვნების მიზნების მიღწევაში ეროვნული წვლილის შეფასება;
5. მცენარეთა დაცვის გლობალური სტრატეგიის შესრულებაში ეროვნული წვლილის შეფასება;
6. ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შესახებ განახლებული ინფორმაცია.

ეროვნული მიზნების მიღწევაში პროგრესის შეფასებისათვის (თავი 3) მითითებული უნდა იქნეს შესაბამისი ინდიკატორი, რომელიც იქნა გამოყენებული შეფასების პროცესში, ასევე უნდა მიეთითოს და განმარტებული იქნეს შეფასების სანდოობის დონე (Level of confidence of the above assessment), შეფასდეს ინფორმაციის მისაღებად მონიტორინგის ადეკვატურობა და აღწერილი იქნეს მონიტორინგის სისტემა. აღნიშნული საჭირო გახდა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ეროვნულ ანგარიშებში მთელ რიგ შემთხვევებში სახელდებოდა ერთი და იგივე ინდიკატორი, თუმცა განსხვავებული იყო საწყისი მონაცემები, ინდიკატორის განსაზღვრებები და წარმოების მეთოდოლოგიები.

ზემოთ აღნიშნული, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მიზნების მიღწევის პროგრესის შეფასებისათვის ინდიკატორების ერთიანი ჩამონათვალის განსაზღვრის, მისი დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებისა და ოფიციალურად დამტკიცების საჭიროებას. ეროვნული ინდიკატორები უნდა იყოს გარკვეულწილად შესაბამისობაში ბიომრავალფეროვნების კონვენციის ინდიკატორებთან, რომლებიც აიტის მიზნების მიღწევის შეფასების საშუალებას იძლევა.

XIII/28 გადაწყვეტილების შესაბამისად, ქვეყნებმა, ეროვნული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოიყენონ სხვადასხვა მიდგომები ბიომრავალფეროვნების მიზნების მიღწევის პროგრესის შეფასებისათვის, მათ შორის, რაოდენობრივი ინდიკატორები, ექსპერტული დასკვნები, კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და თემატური კვლევები, აგრეთვე, განიხილონ გლობალური ინდიკატორებიდან ეროვნულ დონეზე იმ ინდიკატორების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც არიან ხელმისაწვდომი, ადვილი კომუნიკაციისათვის,

რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია მონაცემები ეროვნულ დონეზე, ასევე, მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები.

3. ინდიკატორები NBMS-ის ფარგლებში

ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის, მასზე მოქმედი საფრთხეების ინტენსივობისა და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების მიზნით 2008 წლიდან მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემა ეფუძნება 26 ინდიკატორს, რომლებიც შერჩეული იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული და საერთაშორისო დონეზე მიღებული მოდელის - ზეწოლა/მდგომარეობა/რეაგირება (Pressure / State / Response) შესაბამისად. აღნიშნული ინდიკატორები დამტკიცებული იქნა გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 18 დეკემბრის № 262 ბრძანებით.

NBMS-ის ფარგლებში ინდიკატორების სრული ჩამონათვალი მოცემულია პირველ დანართში.

NBMS-ის ფარგლებში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია, რომ ინდიკატორების სიიდან ამოღებული იქნეს შემდეგი ინდიკატორები:

P8. დაცული ტერიტორიები, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების არეალი (ინდიკატორი მიჩნეული იქნა მიზანშეუწონლად, როგორც ეროვნული დონის ინდიკატორი);

P10. კონფისკაციები CITES-ის რეგულირების შესაბამისად (ინდიკატორის წარმოება მიჩნეული იქნა მიზანშეუწონლად, ვინაიდან ძირითადად ხდება უცხო (იმპორტის დროს) და არა ადგილობრივი სახეობების კონფისკაციები);

ასევე რეკომენდირებული იქნა, რომ შეჩერდეს შემდეგი ინდიკატორების წარმოება:

P6. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოთავისუფლება (ინდიკატორის წარმოება არ არის მიზანშეუწონილი, ვინაიდან კანონით „გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ აკრძალულია გმო-ს გამოთავისუფლება საქართველოს ტერიტორიაზე);

S4. ძირითად ფრინველთა ინდექსი (არასაკმარისი ადამიანური რესურსების გამო)

S6. ლანდშაფტებში სახეობების მრავალფეროვნება (არასაკმარისი რესურსების გამო)

R4. სერტიფიცირებული ტყეები (FSC სისტემის მიხედვით სერტიფიცირება საქართველოში არ ხდება, ნებაყოფლობითი სერტიფიცირების დანერგვის პროცესი შეჩერდა, შესაძლოა განახლდეს მომავალში).

დღეისათვის, შემუშავებულია და ტესტირებულია 12 ინდიკატორი მეთოდოლოგია. მიღებული შედეგები ხელმისაწვდომია პროექტის „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ ვებ-გვერდზე, რომლის მხარდაჭერითაც მიმდინარეობს NBMS-ის ჩამოყალიბება (<http://biodiversity-southcaucasus.org/downloads/>). პროექტი ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით. პროექტი ხელს უწყობს თითოეული ინდიკატორის მიხედვით მეთოდოლოგიის შემუშავებას, საბაზისო ინფორმაციის შექმნას, ტრენინგებს. ინდიკატორის წარმოება შემდგომში უნდა გაგრძელდეს შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ.

ეს ინდიკატორებია:

P1: ლანდშაფტის ფრაგმენტაცია;

P4: თევზჭერის ინტენსივობა (ინდიკატორის მიხედვით მონაცემები დათვლილია 3-ჯერ);

P9: ინვაზიური სახეობების გავრცელება (GIZ-ის დახმარებით შეფასდა მცენარეთა ძირითადი ინვაზიური სახეობების არეალისა და სიხშირის ცვლილება შერჩეულ დაცულ ტერიტორიებში);

P11: ტყეების დაავადებები და ტყის ხანძრები;

S1: ტყით დაფარული ფართობი (GIZ-ის დახმარებით მომზადებულია ტყის საფარის რუკა);

S7: საზოგადოების ცნობიერება;

S3 c: მცენარეთა შერჩეული სახეობების პოპულაციები (GIZ-ის დახმარებით შეფასდა *Galanthus woronowii* პოპულაციის მდგომარეობა, მომზადდა ბალახოვანი მცენარეების წითელი ნუსხა (სახეობების ნუსხა, რომელთა შეტანაც რეკომენდირებული წითელ ნუსხაში), მოზამთრე ფრინველების სიხშირე, მურა დათვის მონიტორინგი);

R1: დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობი (ინდიკატორის მიხედვით მონაცემები დათვლილია 2-ჯერ);

R2: დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმართება მენეჯმენტის გეგმის საფუძველზე;

R5: ტყის ფონდის რეაბილიტაცია (ინდიკატორის მიხედვით მონაცემები დათვლილია 2-ჯერ);

R6: სოფლის მეურნეობის მართვა ბიომეურნეობის პრინციპების შესაბამისად (ინდიკატორის მიხედვით მონაცემები დათვლილია 2-ჯერ);

R7: ფინანსური რესურსები ბუნების კონსერვაციისათვის.

GIZ-ის დახმარებით მიმდინარეობს მეთოდოლოგიის დამუშავება/საბაზისო ინფორმაციის მოპოვება შემდეგი ინდიკატორის მიხედვით:

S5 - განსაკუთრებული კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ჰაბიტატების ფართობი. დაწყებულია ინდიკატორის განსაზღვრებასა და მეთოდ(ებ)ზე მუშაობა ზურმუხტის ქსელის შექმნის მხარდამჭერი GIZ-ის პროექტის ფარგლებში. ამ ინდიკატორის ნაწილად მოიაზრება წყალჭარბი ტერიტორიების ფართობის

ცვლილება (CBD-ის ერთ-ერთი ინდიკატორი). მიმდინარეობს წყალჭარბი ტერიტორიების ინვენტარიზაცია GIZ-ის დახმარებით.

GIZ-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს ტყის ეროვნული მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის დიზაინზე (მათ შორის ტყის ინვენტარიზაცია) მუშაობა, ამ პროცესში მოხდება ტყესთან დაკავშირებული ინდიკატორების (P2, P3 P11) გადახედვა-მოდიფიცირებაც.

NBMS-ის ფარგლებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (გბრდს)-ს მხარდაჭერით 2013-2014 წლებში ჩატარდა მსხვილი ძუძუმწოვრების საჭაერო აღრიცხვები, ხოლო 2014 წელს კალმახისა და ხელფრთიანების საბაზისო შესწავლები, ჯავახეთში მობუდარი ფრინველების მონიტორინგი და დელფინების მონიტორინგი.

NBMS-ის ფარგლებში ინდიკატორების მიხედვით მიღებული შედეგები გამოყენებული იქნა საქართველოს მე-5 ეროვნული ანგარიშის მომზადების პროცესში.

NBMS-ის ინდიკატორები გამოყენებული უნდა იქნეს 2014-2020 წლების ბიომრავალფეროვნების ეროვნული მიზნების მიღწევის შეფასებისათვის.

4. NBSAP-ით განსაზღვრული ინდიკატორები და ჰარმონიზების შესაძლებლობები

2014-2020 წლებისათვის საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმით² (NBSAP) განსაზღვრულია 21 ეროვნული მიზანი, რომლებიც შეესაბამებიან კონვენციის 5 გლობალურ სტრატეგიულ მიზანს და აიტის მიზნებს, ასევე, 73 ინდიკატორი, ეროვნული მიზნების მიღწევის შეფასებისათვის.

აღნიშნული ინდიკატორები საშუალებით შესაძლოა:

- a) შეფასდეს ცვლილება ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაში - ე.წ. **შედეგის ან ზეგავლენის ინდიკატორები;**
- b) შეფასდეს შესაბამისი ღონისძიების განხორციელების მდგომარეობა - ე.წ. **პროცესის ინდიკატორები.**

NBSAP-ით განსაზღვრული ინდიკატორების ნაწილი (მაგალითად, A.1-i1, B.1-i7, B2-i2, C2.-i2, C2.-i2, C4-i4; იხ. ქვემოთ ცხრილში) შეესაბამება NBMS-ის ფარგლებში შერჩეულ ინდიკატორებს. NBSAP-ის რამდენიმე ინდიკატორი კი საჭიროებს მეთოდოლოგიის შემუშავებას, საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემთა ბაზის შექმნას (B.5-i3, C.1-i2, C4-i4, C.6-i1, E.2-i5). შესაძლოა ზოგიერთის დამატება ან ინტეგრირება NBMS-ის ინდიკატორებში.

² დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის #343 დადგენილებით

მეორე მხრივ, NBMS-ის ფარგლებში შერჩეული ინდიკატორები შესაძლოა გამოყენებული იქნეს ბიომრავალფეროვნების ეროვნული მიზნების მიღწევის პროგრესის შეფასებისათვის, თუმცა ისინი არ არიან ასახული NBSAP-ში, მაგალითად S1, P1, R6, S3, S5,

NBMS-ის ზოგიერთი ინდიკატორი და მათი წარმოების მეთოდოლოგია, გარკვეული მოდიფიცირების შემთხვევაში, ასევე, შესაძლოა გამოყენებული იქნეს ეროვნული მიზნების მიღწევის მონიტორინგისათვის, მაგალითად P1, P3, P5, P7, R2 .

5. რეკომენდაციები

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია ეროვნული მიზნების, NBSAP-ისა და NBMS-ის ინდიკატორების შესაბამისობები და რეკომენდირებულია ჰარმონიზებული ინდიკატორები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს ეროვნული მიზნების მიღწევის შეფასებისათვის ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციისადმი ანგარიშგების პროცესში.

ჰარმონიზებული ინდიკატორები რეკომენდირებული იქნა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- შესაბამისობა გლობალურ დონეზე რეკომენდირებულ ინდიკატორთან;
- წარმოების მეთოდოლოგიის, საბაზისო მონაცემების და/ან მონაცემთა ბაზების არსებობა.

განხილული უნდა იქნეს NBMS-ის ფარგლებში ზოგიერთი ინდიკატორის დამატებაც, რომლებიც რეკომენდირებულია CBD-ის მიერ, მაგალითად წყალჭარბი ტერიტორიების ფართობის ცვლილება, ასევე, წითელი ნუსხის ინდექსი, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს B.1, C.2 ეროვნული მიზნების მიღწევის შეფასებისათვის.

NBMS-ის ინდიკატორი R7 - *ფინანსური რესურსები ბუნების კონსერვაციისათვის* - მნიშვნელოვანია აიტის მე-20 მიზნის მიღწევის ანგარიშგებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი გათვალისწინებული უნდა იქნას ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული ინდიკატორების ჩამონათვალში (ქვემოთ ცხრილში აღნიშნული ინდიკატორი არ არის მითითებული შესაბამისი ეროვნული მიზნის არ არსებობის გამო).

NBSAP-ით განსაზღვრული ზოგიერთი ეროვნული მიზნის მიხედვით პროგრესის გაზომვა შეიძლება მოხდეს არა ინდიკატორის, არამედ სხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, როგორცაა დამოუკიდებელი ექსპერტული შეფასება ან თემატური კვლევა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეის მდგომარეობით NBMS-ის ფარგლებში შერჩეული ინდიკატორები დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 18 დეკემბრის #262 ბრძანებით - „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის

ერთიანი სისტემის ინდიკატორების, მათი აღწერის მეთოდოლოგიებისა და წარმოების წესის“ დამტკიცების შესახებ.

ამჟამად, ბიომრავალფეროვნების სფეროში ევროკავშირის დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზების მიზნით შემუშავებულია კანონის პროექტი „ბიომრავალფეროვნების შესახებ“, რომელიც ქმნის სამართლებრივ საფუძველს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებისათვის, განსაზღვრავს მის მიზანს, მონიტორინგისათვის პრიორიტეტულ სახეობებსა და ჰაბიტატებს. კანონპროექტის თანახმად მრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების წესი განისაზღვრება დებულებით „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შესახებ“, რომელსაც შეიმუშავენ სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. რეკომენდირებულია, რომ ბიომრავალფეროვნების შერჩეული ინდიკატორები დამტკიცებული იქნეს აღნიშნული დებულებით, ამავე დებულებით განისაზღვროს ინდიკატორების მიხედვით მონაცემების გენერირებასა და ანალიზზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები. ამავე წესით უნდა მოწესრიგდეს ურთიერთობა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ფარგლებში, უნივერსიტეტებთან, კვლევით ორგანიზაციებთან, საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS-ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
CBD-ის 2011-2020 წლების სტრატეგიული მიზანი A: ბიომრავალფეროვნების კარგვის გამომწვევი ძირეული მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა სამთავრობო სტრუქტურებისა და საზოგადოების საქმიანობაში ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირების გზით.				
მიზანი A 1: 2020 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის სულ მცირე 50% ინფორმირებულია ბიომრავალფეროვნების, მის მიმართ არსებული საფრთხეებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ და გაცნობიერებული აქვს ბიომრავალფეროვნების სოციალური და ეკონომიკური ფასეულობები და სარგებელი	A.1- i1. ბიომრავალფეროვნების შესახებ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ცნობიერებისა და მის მიმართ დამოკიდებულების ტენდენცია: თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები გენდერულ ჭრილში A.1- i2. მედიის მიერ ბიომრავალფეროვნების საკითხების გაშუქების ინტენსივობა (გამოქვეყნებული სტატიების, რადიო და ტელეგადაცემების რაოდენობა) A.1 - i3. კომუნიკაციის, განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერი ჯგუფების რაოდენობა A.1 - i4. ბიომრავალფეროვნების ინტერნეტპორტალზე „ჭიტების“/„კლიკების“/ ვიზიტორების რაოდენობა	აიტის მიზანი 1, ზოგადი ინდიკატორი: ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების დონისა და ბიომრავალფეროვნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ტენდენცია სპეციფიკური ინდიკატორები: ბიომრავალფეროვნების ბარომეტრი; ინტერნეტის ქსელში ბიომრავალფეროვნებისადმი ინტერესი (Google ტენდენცია); WAZA-ს ვიზიტორების გლობალური კვლევა	S 7 ბიომრავალფეროვნების შესახებ საზოგადოების ცნობიერება (საზოგადოების ბიომრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულების ცვლილება)	ბიომრავალფეროვნების შესახებ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ცნობიერებისა და მის მიმართ დამოკიდებულების ტენდენცია გენდერულ ჭრილში

³ მითითებულია მხოლოდ შესაბამისი მიზნის ნომერი, აიტის მიზნების სრული ჩამონათვალი მოცემულია დანართ 2-ში.

⁴ DECISION ADOPTED BY THE CONFERENCE OF THE PARTIES TO THE CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY, XIII/28. Indicators for the Strategic Plan for Biodiversity 2011-2020 and the Aichi Biodiversity Targets. გლობალური ინდიკატორებიდან მითითებული მხოლოდ ეროვნულ დონეზე იმ ინდიკატორების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც არიან ხელმისაწვდომი, ადვილი კომუნიკაციისათვის, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია მონაცემები ეროვნულ დონეზე, ასევე, მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები.

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
<p>ეროვნული მიზანი A.2. 2020 წლისთვის საზოგადოების, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის, მნიშვნელოვნად მეტი ნაწილი იღებს ეფექტიან მონაწილეობას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობისა და ბიოუსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში</p>	<p>A.2 - i1. ბიომრავალფეროვნებასა და ბიოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტრატეგიული და საკანონმდებლო დოკუმენტების პროცენტული რაოდენობა, რომელთა საბაზო ვერსიები ღიაა საჯარო კონსულტაციებისთვის; საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა და შემადგენლობა A2 - i2. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები A.2 - i3. განვითარების პროექტებსა და ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმებთან დაკავშირებულ საჯარო კონსულტაციებში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციების, და სხვა დაინტერესებული პირების (განსაკუთრებით ადგილობრივი თემების წარმომადგენლების, ქალების და მამაკაცების თანაფარდობის გათვალისწინებით) რაოდენობა</p>	<p>აიტის მიზანი 1</p>		<p><i>ეროვნული მიზნის მიხედვით პროგრესის შეფასება შესაძლოა მოხდეს ექსპერტების მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით ანდ კონკრეტული მაგალითების განხილვით</i></p>
<p>ეროვნული მიზანი A.3. 2020 წლისთვის მდგრადი სარგებლობის საკითხები, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ეკონომიკური ფასეულობები ინტეგრირებულია რეგიონული განვითარების, სოფლის მეურნეობის, სიღარიბის შემცირებისა და სხვა შესაბამის სტრატეგიებში და ეროვნული აღრიცხვისა და სტატისტიკის სისტემებში; დანერგილია</p>	<p>A.3 – i1. ამოქმედებულია ახალი პოლიტიკა, კანონები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და ინსტიტუციური ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციისა და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების შესრულებას A.3 – i2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოყენებული</p>	<p>აიტის მიზნები 2, 3 ზოგადი ინდიკატორები (აიტის მიზანი 2) სექტორულ და განვითარების გეგმებში ბიომრავალფეროვნების საკითხების გათვალისწინების ტენდენცია; სპეციფიკური ინდიკატორები: განსაზღვრულია მხოლოდ გლობალური დონისათვის და ისაზღვრება ქვეყნების რაოდენობის მიხედვით) ზოგადი ინდიკატორები: (აიტის მიზანი 3)</p>		<p><i>ეროვნული მიზნის მიხედვით პროგრესის შეფასება შესაძლოა მოხდეს ექსპერტების მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით ანდ კონკრეტული მაგალითების განხილვით</i></p>

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
<p>ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის პოზიტიური ეკონომიკური წამახალისებელი მექანიზმები და აღმოფხვრილია ან რეფორმირებულია ბიომრავალფეროვნების-თვის საფრთხის შემცველი წამახალისებელი მექანიზმები</p>	<p>ეკონომიკური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების (მათ შორის, TEEB) რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ეკოსისტემურ მომსახურებებს (სერვისებს) A 3 - i3. ვებ-ვერდზე: www.geostat.ge განთავსებული სტატისტიკური ინფორმაცია; ვებგვერდზე: www.biomonitring.moe.gov.ge განთავსებული ბიომონიტორინგის ანგარიშები/დაანგარიშებული ბიომრავალფეროვნების ინდიკატორები</p>	<p>ბიომრავალფეროვნებისათვის საფრთხის შემცველი წამახალისებელი მექანიზმების, მათ შორის სუბსიდიების გაუქმების ან შეცვლის ტენდენცია; ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობისათვის წამახალისებელი მექანიზმების განვითარება და გამოყენება. სპეციფიკური ინდიკატორები: სოფლის მეურნეობისადმი მთავრობის მხარდაჭერის პოტენციურად მავნე ელემენტების ტრენდი</p>		
<p>ეროვნული მიზანი A4. 2020 წლისათვის სრულად და ეფექტიანად მოქმედებს ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემა, რითაც უზრუნველყოფილია საქართველოს ბიომრავალფეროვნების ადეკვატური დაცვა ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედებისაგან</p>	<p>A4 – i1. მიღებული ბიოუსაფრთხოების კანონმდებლობა A4 i2. ცმო-ის მართვის, მონიტორინგისა და კონტროლის სფეროში სახელმწიფო უწყებების მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები, რაც ასახულია მათ დებულებებში A4 – i3. ცმო-ს მონიტორინგის, მართვისა და კონტროლისთვის შესაბამისი ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, აკრედიტებული ლაბორატორიები A4 – i4. სპეციალისტთა რაოდენობა, გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრენინგი და გააჩნიათ ცმო-სთან დაკავშირებული რისკების შეფასების, მონიტორინგის, მართვისა და კონტროლის კვალიფიკაცია</p>	<p>აიტის მიზანი 1, 7</p>	<p>P6. გენმოდულიცირებული ორგანიზმების გამოთავისუფლება (NBMS-ის ფარგლებში ინდიკატორის წარმოება შეჩერებულია. ვინაიდან კანონით „ცოცხალი გენმოდულიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოში აკრძალულია ცმო-ს გარემოში გამოთავისუფლება</p>	<p>გმო-ს არალეგალური გამოთავისუფლების შემთხვევების ტენდენცია; ჩაკეტილ სისტემებში გმო-ს გამოყენების ტენდენცია.</p>
<p>გლობალური სტრატეგიული მიზანი B: ბიომრავალფეროვნებაზე პირდაპირი ზეწოლის შემცირება და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა.</p>				

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
<p>ეროვნული მიზანი B.1. 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად არის შემცირებული საფრთხეში მყოფ ბუნებრივ ჰაბიტატებზე მოქმედი ნეგატიური ფაქტორები, ამ ჰაბიტატების სულ მცირე 60%-ის (მათ შორის, ტყის ფონდის სულ მცირე 60%-ის, წყალჭარბი ტერიტორიების 80%-ის, სათიბ - საძოვრების 70%-ის) მდგრადი მართვის უზრუნველყოფის გზით</p>	<p>B.1-i1. მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე მართული ბუნებრივი ჰაბიტატების პროცენტული რაოდენობა; B.1-i2. შესაბამისი ნორმატიული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მოთხოვნების ინტეგრირებას გზშ-ს პროცესში, გზნ-ისა და ლიცენზიის პირობების მონიტორინგსა და კანონმდებლობას; B.1-i3. ტყის ჰაბიტატების კარგვის ტემპი; B.1-i4. ტყის დეგრადირებული ჰაბიტატების ფართობი; B.1-i5. ტყეში პირუტყვის მოვების მასშტაბები; B.1-i6. ხანძრებისგან დაზიანებული ტყის ფართობი; B.1-i7. მავნებელ-დაავადებებისგან დაზიანებული ტყის ფართობი.</p>	<p>აიტის მიზანი 5 ზოგადი ინდიკატორები: ტყის ფართობის ტენდენცია; ბუნებრივი ჰაბიტატების (ტყის ჰაბიტატების გარდა) ფართობის ტენდენცია; ტყისა და სხვა ბუნებრივი ჰაბიტატების ფრაგმენტაციის ტენდენცია; ტყისა და სხვა ბუნებრივი ჰაბიტატების ტყეებისა და სხვა ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაციის ტენდენცია; ყველა ძირითად ჰაბიტატში ჰაბიტატზე დამოკიდებული სახეობის გადაშენების საფრთხის ტენდენცია სპეციფიკური ინდიკატორები: ტყით დაფარული ფართობის ტენდენცია; ტყით დაფარული ფართობის პროცენტი საერთო სახმელეთო ფართობში; ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვანი ხმელეთისა და წყლის ტერიტორიების წილი, რომლებიც დაფარული არიან დაცული ტერიტორიებით, ეკოსისტემების ტიპების მიხედვით; პროგრესი ტყის მდგრად მართვაში; წყალზე დამოკიდებული ეკოსისტემების ფართობის ცვლილება; ბუნებრივი ჰაბიტატების ფართობის ცვლილება (სახმელეთო ტერიტორიის ფართობს გამოკლებული ურბანული და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ფართობი); ჭარბტენიანი ტერიტორიების ფართობი;</p>	<p>S 1 ბუნებრივი ტყეები და ბუნებრივთან მიახლოებული ტყეები (ბუნებრივი ტყეების და ბუნებრივთან მიახლოებული ტყეების წილის ცვლილება ტყის საერთო ფართობთან მიმართებაში); P2 ჭრისთვის გამოყოფილი ტყეების საერთო ფართობის ცვლილება; P3 ტყის გამოყენების ინტენსივობა (თანაფარდობა წლიურ ჭრებსა და წლიურ ნამატს შორის); P7 საძოვრების გამოყენების ინტენსივობა (საქონლის რაოდენობის ცვლილება მთლიან საძოვრებზე) P11 დაავადებული და ნახანძრალი ტყეების საერთო ფართობის ცვლილება P 1 ლანდშაფტის ფრაგმენტაცია (ლანდშაფტის ნაკვეთების საშუალო ფართობის ცვლილება)</p>	<p>ბუნებრივი ტყეების და ბუნებრივთან მიახლოებული ტყეების წილის ცვლილება ტყის საერთო ფართობთან და ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიასთან მიმართებაში; მავნებელ-დაავადებებისგან და ხანძრებისაგან დაზიანებული ტყის ფართობის ტენდენცია; ლანდშაფტის ფრაგმენტაცია; წყალჭარბი ტერიტორიების ფართობის ტენდენცია; საძოვრების გამოყენების ინტენსივობა.</p>

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
		დეგრადირებული მიწების წილი; ტყის ეკოსისტემებზე დამოკიდებული სახეობების წითელი ნუსხის ინდექსი		
<p>ეროვნული მიზანი B.2. 2020 წლისთვის შეფასებულია უცხო ინვაზიური სახეობების მდგომარეობა და მათ მიერ გამოწვეული საფრთხეები; დადგენილია ინვაზიური სახეობების ინტროდუქციის გზები და შემუშავებულია მათი გავრცელების გზების მართვის, შემოღწევისა და დამკვიდრების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები; არ არის დაფიქსირებული არც ერთი ახალი უცხო სახეობა</p>	<p>B.2- i1. უცხო ინვაზიური სახეობების მართვისა და მათი გავრცელების და დამკვიდრების პრევენციის სტრატეგიის დოკუმენტი B.2-i2. უცხო ინვაზიური სახეობების რაოდენობა და არეალი</p>	<p>აიტის მიზანი 9: ზოგადი ინდიკატორები: პრიორიტეტული ინვაზიური სახეობების ელიმინაციის ტენდენცია; ინვაზიური სახეობებით გამოწვეული გადაშენების საფრთხის ტენდენცია;</p> <p>სპეციფიკური ინდიკატორები: ინვაზიური ხერხემლიანი სახეობების ელიმინაციის ტენდენცია; წითელი ნუსხის ინდექსი (ინვაზიური სახეობების ზეგავლენა);</p>	<p>P 9 ინვაზიური სახეობების გავრცელება (ძირითადი ინვაზიური სახეობების არეალის ცვლილება)</p>	<p>ინვაზიური სახეობების გავრცელების ცვლილება</p>
<p>ეროვნული მიზანი B.3. 2020 წლისთვის ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, ნუტრიენტების სიჭარბით გამოწვეული დაბინძურების ჩათვლით, შემცირებულია იმ დონემდე, რომ არ არის სახიფათო ეკოსისტემების ფუნქციონირებისა და ბიომრავალფეროვნებისთვის</p>	<p>B3 -i1. შავი ზღვის ევტროფიკაციის გამომწვევი იდენტიფიცირებული ძირითადი ანთროპოგენული წყაროები; მათ აღმოსავლურად მიმდინარე ღონისძიებები B3-i2. გარემოს დაბინძურების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობა B3-i3. ანგარიშები გარემოს დაბინძურების კონტროლის შესახებ</p>	<p>აიტის ამოცანა 8 ზოგადი ინდიკატორები: დაბინძურების ტენდენცია; დაბინძურების გამო გადაშენების რისკის ტენდენცია; საკვები ნივთიერებების დაგროვების ტენდენცია.</p> <p>სპეციფიკური ინდიკატორები: NOX, SOX, POPs, Hg ემისიების ტენდენცია; პესტიციდების გამოყენების ტენდენცია; წითელი ნუსხის ინდექსი (დაბინძურების ზემოქმედება) ნარჩენი აზოტის გლობალური ტენდენცია; ქიმიურად აქტიური აზოტის დანაკარგი გარემოში.</p>		<p>NOX, SOX, POPs, ემისიების ტენდენცია; პესტიციდების გამოყენების ტენდენცია.</p>

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
<p>ეროვნული მიზანი B.4. 2020 წლისთვის გაუმჯობესებულია აგრარული ეკოსისტემების და ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მართვა და კონსერვაცია</p>	<p>B.4 - i1. შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში B.4 - i2. სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა</p>	<p>აიტის მიზანი 7, 14, 15 ზოგადი ინდიკატორები: მდგრადად მართული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ფართობის წილის ტენდენცია; კონსერვაციული სოფლის მეურნეობით დაკავებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი; აგროსისტემებთან ასოცირებული სახეობების პოპულაციებისა და გადაშენების საფრთხის რისკის ტენდენცია; სპეციფიკური ინდიკატორები: ორგანული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ფართობი; ველურ ფრინველთა ინდექსი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან დაკავშირებული ფრინველებისათვის;</p>	<p>R 6 სოფლის მეურნეობის მართვა ბიომეურნეობის პრინციპების შესაბამისად (ბიომეურნეობის პრინციპების შესაბამისად მართული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების საერთო ფართობის ცვლილება) S 4 ძირითად ფრინველთა ინდექსი (ჩვეულებრივი ფრინველების პოპულაციების ფართობის ცვლილება) P 5 სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების ინტენსივობა (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ცვლილება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობთან მიმართებაში) P 7 სამოვრების გამოყენების ინტენსივობა (საქონლის რაოდენობის ცვლილება მთლიან სამოვრებზე)</p>	<p>ბიომეურნეობის პრინციპების შესაბამისად მართული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების საერთო ფართობის ცვლილება; სამოვრების გამოყენების ინტენსივობა.</p>
<p>ეროვნული მიზანი B.5. 2020 წლისთვის თევზჭერისა და აკვაკულტურის ზეგავლენა თევზის მარაგებზე, ცალკეულ სახეობებსა და ეკოსისტემებზე არ სცდება ეკოლოგიურად უსაფრთხო ფარგლებს</p>	<p>B.5 - i1. შიდა წყლებში სარეწაო სახეობების მარაგების შეფასების დამტკიცებული და მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია B.5 - i2. შიდა წყლებსა და შავ ზღვაში სარეწაო სახეობებით სარგებლობის კვოტების განსაზღვრის დამტკიცებული და მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია B.5 – i3. შიდა წყლებსა და შავ ზღვაში სარეწაო სახეობების მარაგის დინამიკა B.5 - i4 აკვაკულტურის მართვის</p>	<p>აიტის მიზანი 6: ზოგადი ინდიკატორები: მდგრადი სერტიფიცირებული თევზჭერის ტენდენცია; სამიზნე და თანჭერილი თევზებისა და წყლის სხვა სახეობების პოპულაციებს ტენდენცია; თევზჭერის პრაქტიკის ტენდენცია; უსაფრთხო ბიოლოგიურ ლიმიტის ფარგლებს გარეთ თევზის მარაგების</p>	<p>P 4 თევზჭერის ინტენსივობა S 3 შერჩეული სახეობების მიმდინარე სტატუსი (სტატუსის დინამიური დადგენა (რიცხოვნობა და გავრცელება) მცენარეების და ცხოველების</p>	<p>შიდა წყლებსა და შავ ზღვაში სარეწაო სახეობების მარაგის, ჭერის ლიმიტების, ფაქტიური ჭერებისა და არალეგალური ჭერის ტენდენცია</p>

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
	გამართული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზა	წილის ტენდენცია. სპეციფიკური ინდიკატორები: Marine Stewardship Council-ის მიერ სერტიფიცირებული თევზჭერის ტენდენცია; თევზჭერის სახეობების წითელი ნუსხის ინდექსი; წითელი ნუსხის ინდექსი (თევზჭერის ზეგავლენა) თევზის მარაგების წილი, ბიოლოგიურად მდგრად ფარგლებში.	საფრთხეში მყოფი და ეკონომიკური ღირებულების მქონე შერჩეული სახეობებისათვის)	
ეროვნული მიზანი B.6 2020 წლისთვის ჩამოყალიბებულია მდგრადი ნადირობის სისტემა და უზრუნველყოფილია სანადირო სახეობების პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობა	B.6 - i1. ნადირობის მართვის გაუმჯობესებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზა		R8 სამონადირო მეთუნეობები მენეჯმენტის გეგმებით S3 შერჩეული სახეობების მიმდინარე სტატუსი	სანადირო სახეობების პოპულაციების მდგომარეობის ტენდენცია; სამონადირო ტერიტორიების მდგრადი მართვის ტენდენცია
გლობალური სტრატეგიული მიზანი C: ბიომრავალფეროვნების სტატუსის გაუმჯობესება ეკოსისტემური, სახეობრივი და გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვის გზით.				
ეროვნული მიზანი C.1. 2020 წლისთვის დადგენილია ბიომრავალფეროვნების სტატუსი (სახეობებისა და ჰაბიტატების მდგომარეობა) სამეცნიერო-საბაზისო ცოდნის გაუმჯობესებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის შექმნის გზით	C.1- i1. ყველა იშვიათი და ეკონომიკური ღირებულების ცხოველთა სახეობისთვის დადგენილი კონსერვაციული სტატუსი და განახლებული „წითელი ნუსხა“ C.1- i2. ფართოდ აღიარებული ნომენკლატურული სიები ორგანიზმთა ძირითადი ჯგუფებისთვის C.1- i3. ფუნქციონირებადი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა C.1- i4. “წითელი ნუსხის” შედგენის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოები კულტურულ მცენარეთა და შინაურ	აიტის მიზანი 19 ზოგადი ინდიკატორი: სახეობათა ინვენტარიზაციების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება კონვენციის განხორციელებისათვის სპეციფიკური ინდიკატორი: სახეობათა გავრცელების შესახებ ჩანაწერების ზრდა, რომლებიც ხელმისაწვდომია Global Biodiversity Information Facility (GBIF)-ის საშუალებით; სახეობების წილი, რომლებიც შეფასებულია IUCN-ის წითელ ნუსხის		სახეობათა ჯგუფების მიხედვით გამოქვეყნებული ნომენკლატურული სიები; საქართველოში გავრცელებული სახეობების წილი, რომელთა სტატუსი შეფასებულია IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
	ცხოველთა ადგილობრივი ჯიშებისა და კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობებისთვის C.1- i5. კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ადგილობრივი ჯიშებისა და კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების “წითელი ნუსხა”	კრიტერიუმების მიხედვით		
ეროვნული მიზანი C.2. 2020 წლისთვის გაუმჯობესებულია სახეობების სტატუსი, ეფექტიანი კონსერვაციული ღონისძიებების გატარებისა და მდგრადი გამოყენების გზით, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობების 75%-ისთვის გაუმჯობესებულია კონსერვაციული სტატუსი	C.2-i1. ცვლილებები წითელ ნუსხაში არსებული სახეობების კონსერვაციულ სტატუსში C.2-i2. ეკონომიკური ღირებულების მქონე სახეობების პოპულაციების დინამიკა C.2-i3. ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტის შერბილების ფუნქციონირებადი სისტემა (კონფლიქტში ჩართული სახეობების, კონფლიქტის ფორმებისა და მასშტაბების იდენტიფიცირების, კონფლიქტის შერბილების სტრატეგიის შემუშავებისა და დანერგვის გზით)	აიტის მიზანი 12. ზოგადი ინდიკატორები: სახეობათა გადაშენების ტენდენცია; სახეობების გადაშენების საფრთხისა და პოპულაციების ტენდენცია. სპეციფიკური ინდიკატორები: გადაშენებული სახეობების რაოდენობა; წითელი ნუსხის ინდექსი; ცოცხალი პლანეტის ინდექსი; ველურ ფრინველთა ინდექსი.	S3 შერჩეული სახეობების მიმდინარე სტატუსი (სტატუსის დინამიური დადგენა მცენარეებისა და ცხოველების საფრთხეში მყოფი შერჩეული სახეობებისთვის S5 განსაკუთრებული კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ჰაბიტატების ფართობი	წითელი ნუსხის ინდექსი მცენარეთა და ცხოველთა შერჩეული სახეობების პოპულაციების სტატუსების ტენდენცია ადამიანსა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტის ტენდენცია; ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვანი ადგილების (მათ შორის, პრიორიტეტული ჰაბიტატების (განსაზღვრულია NBSAP-ით) ზურმუხტის ქსელში ჩართული ადგილები, ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები) შენარჩუნების ტენდენცია
ეროვნული მიზანი C.3. 2020 წლისთვის ტყეების ბიომრავალფეროვნება დაცულია	C.3 - i1. მიღებული კანონები, დებულებები და სტანდარტები	აიტის მიზანი 7 ზოგადი ინდიკატორი: ფართობების წილის ტენდენცია, სადაც	R 4 სერტიფიცირებული ტყეები (ტყის მართვის სერტიფიცირების	ჭრისთვის გამოყოფილი ტყეების ფართობის ცვლილება;

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
მდგრადი მეტყვეობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის გზით		<p>ხდება ტყის პროდუქციის მდგრადი მართვა.</p> <p>სპეციფიკური ინდიკატორები: FSC-ს და PEFC-ს მიერ სერტიფიცირებული სატყეო მეურნეობების ფართობის წილი; პროგრესი ტყის მდგრად მართვაში; ტყის ფრინველების ინდექსი.</p>	<p>საერთაშორისო დონეზე აღიარებული სისტემების შესაბამისად სერტიფიცირებული ტყეების მთლიანი ფართობის ცვლილება) P 2 ტყეკაფების ფართობი (იმ ტყეების საერთო ფართობის ცვლილება, რომლებიც გამოყოფილია ჭრისათვის) P 3 ტყის გამოყენების ინტენსივობა (თანაფარდობის ცვლილება ხე-ტყის მთლიან წლიურ დამზადებასა (ჭრასა) და კომერციული ტყეების მარაგის მთლიან წლიურ ნამატს შორის) R 5 ტყის ფონდის რეაბილიტაცია (საქართველოს ტყის ფონდში რეაბილიტირებული ტყეების საერთო ფართობის ცვლილება)</p>	<p>ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობის ცვლილება;</p> <p>უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის მოცულობის ცვლილება;</p> <p>ტყის აღდგენა და გაშენების ტენდეცია;</p> <p>სატყეო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ტენდეცია;</p> <p>ტყის მართვისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ტენდეცია</p>
<p>ეროვნული მიზანი C.4. 2020 წლისთვის დაცული ტერიტორიები მოიცავს ქვეყნის სახმელეთო ფართობის სულ მცირე 12%-ს, და აკვატორიის - 2.5%-ს. ეკოსისტემური</p>	<p>C.4-i1. მიღებული შესაბამისი რეგულაციები C.4-i2. დაცული ტერიტორიების ეროვნული ქსელის დამტკიცებული გეგმა C.4-i3. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი</p>	<p>აიტის მიზანი 11</p> <p>ზოგადი ინდიკატორები: დაცული სახმელეთო ტერიტორიებისა და შიდა წყლების ფართობის ტენდეცია; დაცული ზღვისა და სანაპირო</p>	<p>R 1 დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობი (დაკანონებული დაცული ტერიტორიებით დაკავებული საერთო</p>	<p>ქვეყნის საერთო სახმელეთო ფართობში დაცული ტერიტორიების მთლიანი ფართობისა და კატეგორიების მიხედვით ფართობის წილის (პროცენტის) ცვლილება;</p>

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
<p>სერვისების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის ტერიტორიების მართვა ხორციელდება ეფექტიანი, ეკოლოგიურად წარმომადგენლობითი სისტემისა და სხვა ეფექტიანი კონსერვაციული ღონისძიებების მეშვეობით; მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნა და მისი ინტეგრირება ფართო სახმელეთო და საზღვაო ლანდშაფტებში</p>	<p>C.4-i4. ურთიერთდაკავშირებული დაცული ტერიტორიებისა და ეკოლოგიური კორიდორების რაოდენობა C.4-i5. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეკრულებების რაოდენობა C.4-i6. დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობის მაჩვენებელი C.4-i7. დაცული ტერიტორიების მოქმედი საკონსულტაციო საბჭოების რაოდენობა</p>	<p>ტერიტორიების ფართობის ტენდენცია; ბიომრავალფეროვნებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილების დაცვის ტენდენცია; დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური რეპრეზენტატიულობის ტენდენცია; დაცული ტერიტორიების ეფექტური და/ან სამართლიანი მართვის ტენდენცია; დაცული ტერიტორიების ურთიერთდაკავშირების (მთლიანობის) და ინტეგრაციის ტენდენცია.</p> <p>სპეციფიკური ინდიკატორები: ხმელეთისა და შიდა წყლების ტერიტორიების ფართობის პროცენტი, რომლებიც დაფარულია დაცული ტერიტორიებით;</p> <p>ზღვისა და სანაპიროს ტერიტორიების ფართობის პროცენტი, რომლებიც დაფარულია დაცული ტერიტორიებით;</p> <p>ბიომრავალფეროვნების საკვანძო ადგილების დაფარულობა დაცული ტერიტორიებით;</p> <p>დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობა</p>	<p>ფართობის ცვლილება); R2 დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმართება მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე კვალიფიცირებული პერსონალის მიერ; R 3 დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობში უპირატესად ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის გამოყოფილი ადგილების ფართობის ცვლილება P 8 დაცული ტერიტორიების რაოდენობა, რომლებიც იმყოფება ინფრასტრუქტურის განვითარების ზეგავლენის ქვეშ</p>	<p>საზღვაო დაცული ტერიტორიების ფართობის წილის (პროცენტის) ცვლილება;</p> <p>დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური რეპრეზენტატიულობის ტენდენცია;</p> <p>ფართო ლანდშაფტებში დაცული ტერიტორიების ინტეგრირების ტენდენცია;</p> <p>დაცული ტერიტორიების რეგიონული ქსელების განვითარების ტენდენცია;</p> <p>ცალკეული დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და მართვის ეფექტურობის ტენდენცია;</p> <p>დაცულ ტერიტორიებზე მოქმედი ძირითადი საფრთხეების ტენდენცია;</p> <p>დაცული ტერიტორიების მართვაში ადგილობრივი თემების ჩართულობის ტენდენცია;</p> <p>დაცული ტერიტორიების ფინანსური სტაბილურობის</p>

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
				<p>ტენდეცია;</p> <p>სამეცნიერო ცოდნის წვლილი დაცული ტერიტორიების მართვაში;</p> <p>დაცულ ტერიტორიების ვიზიტორების ტენდეცია.</p>
<p>ეროვნული მიზანი C.5. 2020 წლისთვის შენარჩუნებულია მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშებისა და კულტურულ მცენარეთა ენდემური სახეობების, ასევე მათი მონათესავე ველური სახეობების, სხვა სოციო-ეკონომიკური თუ კულტურული მნიშვნელობის სახეობების in situ კონსერვაციული სტატუსი</p> <p>C.5- i1. მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშებისა და კულტურულ მცენარეთა ენდემური სახეობების, ასევე მათი მონათესავე ველური სახეობების, სხვა სოციო-ეკონომიკური თუ კულტურული მნიშვნელობის სახეობების in situ კონსერვაციული სტატუსი</p> <p>C.5- i2. დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები, რომლებიც მოიცავს აგრარული ბიომრავალფეროვნების საკითხებს</p> <p>C.5- i3. სახელმწიფო მნიშვნელობის ex situ კოლექციების სია და მონაცემთა ბაზები</p> <p>C.5- i4. სახელმწიფო მნიშვნელობის ex situ კოლექციების მენეჯმენტის გეგმები</p>	<p>აიტის მიზანი 13</p> <p>ზოგადი ინდიკატორები: კულტივირებული მცენარეებისა და შინაური ცხოველების გენეტიკური მრავალფეროვნების ტენდეცია;</p> <p>სპეციფიკური ინდიკატორები: საკვებისა და სოფლის მეურნეობისათვის მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების რაოდენობა, რომლებიც დაცულია საშუალო ან გრძელვადიან გენბანკებში;</p> <p>ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების რაოდენობა/წილი, რომლებიც არიან საფრთხის წინაშე, არ არიან საფრთხის წინაშე ან მდგომარეობა უცნობია.</p>	<p>S 2</p> <p>აგრობიომრავალფეროვნების განვითარება (საქართველოში არსებული შინაური ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ჯიშების რაოდენობის ცვლილება)</p>	<p>სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა ადგილობრივი ჯიშების რაოდენობის ცვლილება, რომლებიც გამოიყენებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში;</p> <p>მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების რაოდენობის ცვლილება, რომელთა შენახვაც ხდება საშუალო- ან გრძელვადიან გენეტიკურ ბანკებში.</p>	
<p>ეროვნული მიზანი C.6 2020 წლისთვის ანთროპოგენური ზეწოლა შემცირებულია შავ ზღვასა და შიდა წყლების ეკოსისტემებზე და შენარჩუნებულია წყლის სისტემების მთლიანობა და ფუნქციონირება</p>	<p>C.6-i1. სახეობების რაოდენობა და მათი რიცხოვნობა (მრავალფეროვნების ინდექსი) შავ ზღვასა და შიდა წყლებში</p> <p>C.6-i2. შიდა წყლებში თევზის შერჩეული სახეობების მენეჯმენტის გეგმები</p> <p>C.6-i3. შავ ზღვაში დაარსებული</p>	<p>აიტის მიზანი 5</p> <p>ზოგადი ინდიკატორი: ბუნებრივი ჰაბიტატების (ტყის ჰაბიტატების გარდა) ფართობის ტენდეცია;</p> <p>სპეციფიკური ინდიკატორი: წყალთან დაკავშირებული ეკოსისტემების ფართობის ცვლილება;</p>	<p>სახეობების რაოდენობა და მათი რიცხოვნობა (მრავალფეროვნების ინდექსი) შავ ზღვასა და შიდა წყალსატევებში;</p> <p>წყალჭარბი ტერიტორიების ფართობის ცვლილება</p>	

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
	ახალი დაცული ტერიტორიები C.6-i4. შავ ზღვაში მოწყობილი ხელოვნური რიფების რაოდენობა	ჭარბტენიანი ტერიტორიების ფართობი.		
გლობალური სტრატეგიული მიზანი D: ბიომრავალფეროვნებისგან და ეკოსისტემური სერვისებისგან თითოეული ადამიანის მიერ მიღებული სარგებლის გაზრდა.				
ეროვნული მიზანი D.1. 2015 წლისთვის საქართველოს რატიფიცირებული აქვს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის „ნაგოიას ოქმი გენეტიკურ რესურსების ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების შესახებ“ და „სურსათისა და სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვან მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება“ და დაწყებულია მათი განხორციელება	D.1- i1. რატიფიკაციის დოკუმენტები და ამ შეთანხმებების დანერგვისთვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა	აიტის მიზანი 16 ზოგადი ინდიკატორი: ნაგოიას ოქმის განხორციელების ტენდეცია სპეციფიკური ინდიკატორი: რეკომენდირებული ინდიკატორია გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა, ასევე მასალის გადაცემაზე სტანდარტული შეთანხმებების რაოდენობა		საქართველოს მიერ ჯერჯერობით არ არის რატიფიცირებული ნაგოიას ოქმი. ეროვნული კანონმდებლობით არ მოითხოვება გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე ნებართვების გაცემა. აღნიშნული საკითხის რეგულირებისათვის შესაბამისი დებულებები მოცემულია კანონპროექტში „ბიომრავალფეროვნების შესახებ“. კანონპროექტის მიღები შემთხვევაში რეკომენდირებული ინდიკატორია: გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა
ეროვნული მიზანი D.2. 2020 წლისთვის შეფასებულია კლიმატის ცვლილების პოტენციური ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და	D.2- i1. კლიმატის ცვლილების ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში და არსებული სიტუაციის დამლევს რეკომენდაციები D.2- i2. ეროვნული და ადგილობრივი (რეგიონების ან მუნიციპალიტეტების)	აიტის მიზანი 15 ზოგადი ინდიკატორები: ეკოსისტემებში აუკუმულირებული ნახშირბადის ტენდეცია		<i>ეროვნული მიზნის მიხედვით პროგრესის შეფასება შესაძლოა მოხდეს ექსპერტების მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან</i>

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
ამაღლებულია ეკოსისტემების მდგრადობა შესაბამისი გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებისა და ადეკვატური საქმიანობების დანერგვის გზით	სტრატეგიების რაოდენობა, რომლებშიც ინტეგრირებულია კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხები			<i>კონსულტაციებით ანდ კონკრეტული მაგალითების განხილვით</i>
გლობალური სტრატეგიული მიზანი E: ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის განხორციელების გაუმჯობესება თანამონაწილეობით დაგეგმვის, ცოდნის მენეჯმენტისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით.				
ეროვნული მიზანი E.1. 2020 წლისთვის გაზრდილია ბიომრავალფეროვნებასთან, მის ფასეულობებთან, ფუნქციონირებასთან, სტატუსთან, ტენდენციებთან, ასევე ბიომრავალფეროვნების კარგით გამოწვეულ შედეგებთან დაკავშირებული ცოდნა და გაუმჯობესებულია შესაბამისი სამეცნიერო ბაზა	E.1-i1. საქართველოს ჰაბიტატების კლასიფიკაცია, ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად E.1-i2. ბიომრავალფეროვნების, მათ შორის პრიორიტეტული ჰაბიტატების, განახლებული და სისტემატიზირებული მონაცემთა ბაზა E.1 - i3. გადამზადებული რეინჯერების, მეტყვეების, საძოვრების მართვის ექსპერტების, ნადირთ-მცოდნეების, მონადირეებისა და მეთევზეების რაოდენობა E.1 – i4. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი დაცული ტერიტორიების, სატყეო მეურნეობებისა და სამონადირეო მეურნეობების რაოდენობა E.1 – i5. შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილი თანამედროვე სატყეო კურიკულუმები	აიტის მიზანი 19 ზოგადი ინდიკატორი: სახეობათა ინვენტარიზაციების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება კონვენციის განხორციელებისათვის სპეციფიკური ინდიკატორი: სახეობათა არსებობის შესახებ ჩანაწერების ზრდა, რომლებიც ხელმისაწვდომია Global Biodiversity Information Facility (GBIF)-ის საშუალებით IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით შეფასებული სახეობების წილი		სახეობათა ჯგუფების მიხედვით გამოქვეყნებული ნომენკლატურული სიები; საქართველოში გავრცელებული სახეობების წილი, რომელთა სტატუსი შეფასებულია IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით
ეროვნული მიზანი E.2. 2020 წლისთვის ბიომრავალფეროვნების საკითხების სწავლება გაუმჯობესებულია ფორმალური და არაფორმალური განათლების	E.2- i1. ბიომრავალფეროვნების სწავლების ეროვნული კონცეფცია E.2- i2. ბიომრავალფეროვნების თემების სრულფასოვანი ასახვა სახელმძღვანელოებში E.2-i3. ბიომრავალფეროვნების თემების გაშუქება პედაგოგთა მომზადებისა და			მოსწავლეთა, სტუდენტთა და პედაგოგთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ინფორმირებულები არიან ბიომრავალფეროვნების შესახებ (რაოდენობრივი და

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
ყველა საფეხურზე და არსებობს ბიომრავალფეროვნების სწავლების უწყვეტი სისტემა და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები	<p>კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში</p> <p>E.2-i4 . ბიომრავალფეროვნების საკითხების გაფართოებული ასახვა უმაღლესი და პროფესიული განათლების კურიკულუმებში</p> <p>E.2-i5. მოსწავლეთა, სტუდენტთა და პედაგოგთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ინფორმირებულნი არიან ბიომრავალფეროვნების შესახებ (რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგები გენდერულ ჭრილში)</p> <p>E.2- i6. ბიომრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ჩატარებული კურსების რაოდენობა სხვადასხვა სექტორში დასაქმებული პერსონალისთვის (სექტორების მიხედვით)</p> <p>E.2 - i7. სასკოლო კლუბების, ეროვნული პარკების, მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და ახალგაზრდული ცენტრების ბიომრავალფეროვნების საკითხებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა; ამ პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა</p>			თვისობრივი კვლევის შედეგები გენდერულ ჭრილში)
<p>ეროვნული მიზანი E.3.</p> <p>2020 წლისთვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნა და საჭიროებები ინტეგრირებულია კანონმდებლობასა და სტრატეგიებში</p>	<p>E.3.- i1:</p> <p>მიღებული კანონმდებლობა და დამტკიცებული სახელმძღვანელოები</p>	<p>აიტის მიზანი 18</p> <p>ზოგადი ინდიკატორები:</p> <p>მკვიდრი და ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ტერიტორიების ფარგლებში მიწათსარგებლობისა და მფლობელობის ცვლილების ტენდენცია.</p> <p>სპეციფიკური ინდიკატორები:</p> <p>მოსახლეობის პროცენტი, რომელსაც აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწები კერძო</p>		<p><i>ეროვნული მიზნის მიხედვით პროგრესის შეფასება შესაძლოა მოხდეს ექსპერტების მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით ანდ კონკრეტული მაგალითების განხილვით</i></p>

NBSAP-ით განსაზღვრული ეროვნული მიზანი	მიზნის მიღწევის შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები NBSAP-ის მიხედვით	აიტის შესაბამისი მიზანი ³ და ინდიკატორები ⁴	NBMS--ის შესაბამისი ინდიკატორი	რეკომენდირებული ინდიკატორები
		საკუთრებაში ან აქვთ დაცული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.		



დანართი 1. ინდიკატორთა სია NBMS-ის ფარგლებში

ზეწოლის ინდიკატორები

P 1 ლანდშაფტის ფრაგმენტაცია (ლანდშაფტის ნაკვეთების საშუალო ფართობის ცვლილება)

P 2 ტყეკაფების ფართობი (იმ ტყეების საერთო ფართობის ცვლილება, რომლებიც გამოყოფილია ჭრისათვის)

P 3 ტყის გამოყენების ინტენსივობა (თანაფარდობის ცვლილება ხე-ტყის მთლიან წლიურ დამზადებასა (ჭრასა) და კომერციული ტყეების მარაგის მთლიან წლიურ ნამატს შორის)

P 4 თევზჭერის ინტენსივობა

P 5 სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების ინტენსივობა (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ცვლილება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობთან მიმართებაში)

P 6 გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) გამოთავისუფლება (გმო-ს გამოთავისუფლებაზე გაცემული ოფიციალური ნებართვების მთლიანი რაოდენობის ცვლილება)

P 7 სამოვრების გამოყენების ინტენსივობა (საქონლის რაოდენობის ცვლილება მთლიან სამოვრებზე)

P 8 დაცული ტერიტორიები, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების არეალი (დაცული ტერიტორიების რაოდენობა, რომლებიც იმყოფება ინფრასტრუქტურის განვითარების ზეგავლენის ქვეშ)

P 9 ინვაზიური სახეობების გავრცელების არეალი (მთავარი ინვაზიური სახეობების გავრცელების არეალის ცვლილება)

P 10 კონფისკაციები CITES-ის რეგულირებების შესაბამისად (გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და მათგან წარმოებული პროდუქტების კონფისკირებული ნიმუშების რაოდენობის ცვლილება)

P 11 ტყის დაავადებები და ტყის ხანძრები (დაავადებული და ნახანძრალი ტყეების საერთო ფართობის ცვლილება)

მდგომარეობის ინდიკატორები

S 1 ბუნებრივი ტყეები და ბუნებრივთან მიახლოებული ტყეები (ბუნებრივი ტყეების და ბუნებრივთან მიახლოებული ტყეების წილის ცვლილება ტყის საერთო ფართობთან მიმართებაში)

S 2 აგრობიომრავალფეროვნების განვითარება (საქართველოში არსებული შინაური ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ჯიშების რაოდენობის ცვლილება)

S 3 შერჩეული სახეობების მიმდინარე სტატუსი (სტატუსის დინამიური დადგენა (რიცხოვნობა და გავრცელება) მცენარეების და ცხოველების საფრთხეში მყოფი და ეკონომიკური ღირებულების მქონე შერჩეული სახეობებისათვის)

S 4 ძირითად ფრინველთა ინდექსი (ჩვეულებრივი ფრინველების პოპულაციების ფართობის ცვლილება)

S 5 განსაკუთრებული კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ჰაბიტატების ფართობი.

რეაგირების ინდიკატორები

- R 1 დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობი (დაკანონებული დაცული ტერიტორიებით დაკავებული საერთო ფართობის ცვლილება)
- R 2 დაცული ტერიტორიები, რომლებიც იმართება მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე, კვალიფიცირებული პერსონალის მიერ (ისეთი დაცული ტერიტორიების საერთო რაოდენობის პროცენტის ცვლილება, რომლებიც იმართება მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე, კვალიფიცირებული პერსონალის მიერ)
- R 3 ბუნების დაცვის ზონები (დაცული ტერიტორიების ქსელის საერთო ფართობში უპირატესად ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის გამოყოფილი ადგილების ფართობის ცვლილება)
- R 4 სერტიფიცირებული ტყეები (ტყის მართვის სერტიფიცირების საერთაშორისო დონეზე აღიარებული სისტემების შესაბამისად სერტიფიცირებული ტყეების მთლიანი ფართობის ცვლილება)
- R 5 ტყის ფონდის რეაბილიტაცია (საქართველოს ტყის ფონდში რეაბილიტირებული ტყეების საერთო ფართობის ცვლილება)
- R 6 სოფლის მეურნეობის მართვა ბიომეურნეობის პრინციპების შესაბამისად (ბიომეურნეობის პრინციპების შესაბამისად მართული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების საერთო ფართობის ცვლილება)
- R 7 ფინანსური რესურსები ბუნების კონსერვაციისათვის (ბუნებისა და ლანდშაფტის კონსერვაციისათვის გამოყოფილი საერთო დაფინანსების ცვლილება)
- R 8 სამონადირეო მეურნეობების მართვა (კვალიფიციური პერსონალის მიერ მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე მართული სამონადირეო მეურნეობების რაოდენობრივი ცვლილება)
- R 9 ბიომრავალფეროვნების შესახებ საზოგადოების ცნობიერება (საზოგადოების ბიომრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულების ცვლილება)

დანართი 2

გლობალური სტრატეგიული მიზნები და აიტის ბიომრავალფეროვნების მიზნები

სტრატეგიული მიზანი A: ბიომრავალფეროვნების კარგის გამომწვევი ძირეული მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა სამთავრობო სტრუქტურებისა და საზოგადოების საქმიანობაში ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირების გზით.

მიზანი 1: არაუგვიანეს 2020 წლამდე, საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს ბიომრავალფეროვნების ფასეულობები და ასევე იცის, რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას თვითონ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მისი მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მიზანი 2: არაუგვიანეს 2020 წლამდე, ბიომრავალფეროვნების ფასეულობები ინტეგრირებულია განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგიებსა და დაგეგმვის პროცესებში ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე და ასევე, ასახულია ეროვნული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემებში.

მიზანი 3: არაუგვიანეს 2020 წლამდე, ბიომრავალფეროვნებისათვის საფრთხის შემცველი წამახალისებელი მექანიზმები, სუბსიდიების ჩათვლით, ნეგატიური გავლენის შემცირების ან არიდების მიზნით თავიდან აცილებული, თანდათან შემცირებული ან შეცვლილია. შექმნილია და გამოყენებულია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისაკენ მიმართული პოზიტიური წამახალისებელი მექანიზმები, რომლებიც შეთავსებულია და ჰარმონიაშია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციასა და სხვა შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებთან და ამასთან, ითვალისწინებს ეროვნულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

მიზანი 4: არაუგვიანეს 2020 წლამდე მთავრობებს, ბიზნეს სექტორს და ყველა დონეზე დაინტერესებულ მხარეებს გადადგმული აქვთ ნაბიჯები ან განხორციელებული აქვთ გეგმები მდგრადი წარმოებისა და მოხმარებისათვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით გამოწვეული ზემოქმედება გარანტირებულად მოქცეული აქვთ ეკოლოგიურად უსაფრთხო საზღვრებში.

სტრატეგიული მიზანი B: ბიომრავალფეროვნებაზე პირდაპირი ზეწოლის შემცირება და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა.

მიზანი 5: 2020 წლამდე, ყველა ბუნებრივი ჰაბიტატის, მათ შორის, ტყეების, კარგის ტემპი, მინიმუმ განახევრებულია და სადაც შესაძლებელია, ნულამდეა დაყვანილი; ჰაბიტატების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია საგრძნობლად შემცირებულია.

მიზანი 6: 2020 წლისთვის ხორციელდება თევზისა და უხერხემლო ცხოველთა მარაგებისა და წყლის მცენარეების მართვა და მოხმარება მდგრადად, კანონიერად და ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომებით, ისე რომ: არ ხდება გადაჭარბებული თევზჭერა; შემუშავებულია აღდგენის გეგმები და ღონისძიებები ყველა რაოდენობრივად შემცირებული სახეობისათვის; თევზჭერას აქვს უმნიშვნელო არახელსაყრელი გავლენა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე და

მოწყვლად ეკოსისტემებზე და თევზჭერის გავლენა მარაგებზე, სახეობებსა და ეკოსისტემებზე მოქცეულია ეკოლოგიურად უსაფრთხო საზღვრებში.

მიზანი 7: 2020 წლისთვის ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების, აკვაკულტურებისა და სატყეო სექტორის მდგრადი მართვა, რითაც უზრუნველყოფილია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

მიზანი 8: 2020 წლისთვის, გარემოს დაბინძურება, ჭარბი ნუტრიენტებით გამოწვეული დაბინძურების ჩათვლით, დაყვანილია იმ დონეზე, როცა საფრთხე არ ექმნება ეკოსისტემების ფუნქციონირებას და ბიომრავალფეროვნებას.

მიზანი 9: 2020 წლისთვის, ინვაზიური უცხო სახეობები და მათი ინტროდუქციის გზები იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზირებულია. პრიორიტეტული სახეობები კონტროლის ქვეშ არის ან საერთოდ აღმოფხვრილია; მათი გავრცელების გზების მართვასთან დაკავშირებით, შემუშავებულია შემოღწევისა და დამკვიდრების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები.

მიზანი 10: 2015 წლისთვის, მარჯნის რიფებსა და სხვა მოწყვლად ეკოსისტემებზე, რომლებიც განიცდიან კლიმატის ცვლილების ან ოკეანის მჟავიანობის გაზრდის ზეგავლენას, მუდმივი ანთროპოგენური ზეწოლა შემცირებულია იმდენად, რომ შენარჩუნებულია მათი მთლიანობა და ფუნქციონირება.

სტრატეგიული მიზანი C: ბიომრავალფეროვნების სტატუსის გაუმჯობესება ეკოსისტემური, სახეობრივი და გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვის გზით

მიზანი 11: 2020 წლისთვის სახმელეთო და შიდა წყლების მინიმუმ 17 პროცენტისა და სანაპირო ზოლისა და ზღვის ტერიტორიების - 10 პროცენტის, კერძოდ კი, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის მომსახურების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის ტერიტორიების, კონსერვაცია ხორციელდება ეფექტიანი და გონივრული მართვით, ეკოლოგიურად წარმომადგენლობითი და კარგად დაკავშირებული დაცული ტერიტორიების სისტემებით, ტერიტორიის მიხედვით, სპეციფიკური კონსერვაციული ღონისძიებებით და ისინი ინტეგრირებულია ფართო სახმელეთო და საზღვაო ლანდშაფტებში.

მიზანი 12: 2020 წლისთვის, გადაშენების პირას მყოფი სახეობების გადაშენების საშიშროება აღკვეთილია და კონსერვაციული სტატუსი, განსაკუთრებით რაოდენობრივად ძალზე შემცირებული სახეობებისა, არის გაუმჯობესებული და სტაბილური.

მიზანი 13: 2020 წლისთვის, გენეტიკური მრავალფეროვნება კულტურული მცენარეების, შინაური ცხოველებისა და მათი მონათესავე ველური სახეობებისა, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ფასეულობების მატარებელი სახეობებისა, შენარჩუნებულია. გაუმჯობესებულია და ხორციელდება სტრატეგიები გენეტიკური ეროზიების შემცირებისა და გენეტიკური მრავალფეროვნების დასაცავად.

სტრატეგიული მიზანი D: ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების მომსახურებით მიღებული სარგებლის გაძლიერება

მიზანი 14: 2020 წლისთვის, ეკოსისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან მომსახურებებს, წყალთან დაკავშირებული მომსახურებების ჩათვლით და ასევე, რომლებიც ხელს უწყობენ ჯანმრთელობას, საარსებო საშუალებებსა და

კეთილდღეობას, აღდგენილი და დაცულია, ქალთა, მკვიდრი და ადგილობრივი თემების, ღარიბთა და დაუცველთა საჭიროებების გათვალისწინებით.

მიზანი 15: 2020 წლისთვის, ეკოსისტემის მოქნილობა და ბიომრავალფეროვნების წვლილი ნახშირბადის აკუმულაციისათვის გაუმჯობესებულია ბუნების კონსერვაციისა და აღდგენის მეშვეობით, რომელიც მოიცავს დეგრადირებული ეკოსისტემების მინიმუმ 15 პროცენტს, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების გავლენის შერბილებას, ადაპტაციას და გაუდაბნობასთან ბრძოლას.

მიზანი 16: 2015 წლისთვის, „ნაგოიას ოქმი“ გენეტიკურ რესურსების ხელმისაწვდომობასა და მათი მოხმარებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების შესახებ ძალაშია და მოქმედებს ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

სტრატეგიული მიზანი E: განხორციელების გაუმჯობესება თანამონაწილეობითი დაგეგმვის, ცოდნის მენეჯმენტისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით.

მიზანი 17: 2015 წლისთვის, ყველა მხარეს შემუშავებული და მიღებული აქვს ბიომრავალფეროვნების განახლებული ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტრუმენტი და დაწყებული აქვს მისი განხორციელება.

მიზანი 18: 2020 წლისთვის მკვიდრი და ადგილობრივი თემების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნა, ინოვაციები და პრაქტიკული გამოცდილება, მათი წეს-ჩვეულებების მიხედვით, ბუნებრივი რესურსების მოხმარება აღიარებულია ყველა შესაბამის დონეზე; წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებების საგანს და სრულად არის ინტეგრირებული და ასახული კონვენციაში, ხორციელდება მკვიდრი და ადგილობრივი თემების სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობით.

მიზანი 19: 2020 წლისთვის, ბიომრავალფეროვნებასთან, მის ფასეულობებთან, ფუნქციონირებასთან, სტატუსთან, ტენდენციებთან, ასევე, ბიომრავალფეროვნების კარგით გამოწვეულ შედეგებთან დაკავშირებული ცოდნა, სამეცნიერო ბაზა და ტექნოლოგიები გაუმჯობესებულია, ფართოდაა გაზიარებული, გადაცემული და გამოყენებული.

მიზანი 20: არაუგვიანეს 2020 წლისთვის, ბიომრავალფეროვნების 2011 - 2020 სტრატეგიული გეგმის ეფექტიანად განხორციელებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზაცია ყველა წყაროდან არსებითად უნდა გაძლიერდეს, რესურსების მობილიზაციის სტრატეგიის ერთიანი და შეთანხმებული პროცესის შესაბამისად. აღნიშნული მიზანი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა მიერ განხორციელებული რესურსის საჭიროებების შეფასებისა და ანგარიშის წარდგენის შედეგად.